საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
მარინა კვაჭაძე – კოლეგიის წევრი
ლავრენტი ქავთარაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ნ. გ.
საქმის ნომერი - N035/10
საჩივარი შემოტანილია – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის თ. გ.-ს მიმართ, /სიითი №.../
კერძო დადგენილების მოთხოვნა - ადვოკატის თ. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა და შესაბამისი რეაგირება

აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია**

1.1 2010 წლის 08 ივნისს ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიაში განსახილველად შემოვიდა მოქალაქე ნ. გ.-ის საჩივარი, რომლითაც იგი ადვოკატ თ. გ.-ს ქცევას მიიჩნევს არაეთიკურად, კერძოდ: როგორც ნ. გ. საჩივარში განმარტავს, 2008 წლის დეკემბერში მან იურიდიული დახმარების მიზნით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს თ. გ.-ს.

1.2 ნ. გ.-ის განმარტებით ადვოკატი თ. გ. მას დაჰპირდა, რომ უმოკლეს ვადაში მოუგვარებდა პრობლემებს. მომჩივანმა ადვოკატს გადასცა 2 საქმე: ა. ხ.-ისა და თ. დ.-ის მასალები, ასევე 100 ლარი საადვოკატო მომსახურეობის თანხა და სახელმწიფო ბაჟისათვის 135 აშშ დოლარი, საქმეთა დამთავრების შემდეგ - უნდა გადაეცა 500 აშშ დოლარი. ადვოკატი თ. გ. კლიენტს დაჰპირდა რომ კეთილსინდისიერად

განახორციელებდა საქმიანობას და კლიენტის ინტერესებს დააყენებდა მის პირად და სხვა ინტერესებზე მაღლა.

1.3 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატის ქმედებით მისი უფლებები შეილახა, კერძოდ: ადვოკატი ატყუებს კლიენტს, აძლევს ცრუ დაპირებებს, მომჩივანმა არაერთხელ მოითხოვა გადახდილი თანხისა და მასალების უკან დაბრუნებას, ადვოკატი კი იმალება, არ პასუხობს ნ. გ.-ს სატელეფონო ზარებს და არ უბრუნებს საქმის მასალებს.

1.4 მომჩივანმა განმარტა, რომ მის მიერ ბაჟის სახით მიცემული თანხა - ადვოკატმა თ. გ.-მ არ შეიტანა სასამართლოს შესაბამის ანგარიშზე.

1.5 ნ. გ. ითხოვს ადვოკატის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებას, გადახდილი თანხისა და გადაცემული საქმის მასალების დაბრუნებას.

2. ადვოკატ თ. გ.-ის განმარტების მიხედვით:

2.1 ადვოკატის განმარტებით, მან არაერთხელ მიმართა სასამართლოს და წარადგინა სარჩელი ა. ხ.-ის მიმართ, მაგრამ სასამართლომ ხარვეზი დაადგინა ბაჟზე და აცნობა ნ. გ.-ს, რომ ბაჟისათვის გადაცემული თანხა არ იყო საკმარისი. ადვოკატის განმარტებით, იმის გამო, რომ სარჩელზე გადასახდელი ბაჟის ოდენობა იყო დიდი და მხარეს არ შეეძლო მისი გადახდა, სასამართლოს მათ მიერ წარედგინა ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ. სარჩელი კვლავ არ იქნა მიღებული წარმოებაში, რის გამოც კლიენტის მოთხოვნით, განმეორებით იქნა შეტანილი სარჩელი სასამართლოში, რა დროსაც შემცირდა სასარჩელო მოთხოვნა. სწორედ სახელმწიფო ბაჟის გადახდის მიზნით გადასცა კლიენტმა ადვოკატს 135 აშშ დოლარი. ადვოკატმა დაადასტურა, რომ მას არ გადაუხდია სახელმწიფო ბაჟი იმის გამო, რომ ბაჟის ოდენობა შეადგენდა 1200 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას. კლიენტს არ მიუცია დამატებითი თანხა ადვოკატისათვის.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მეორე საქმეზე ნ. გ.-მ დაგვიანებით აცნობა ადვოკატს მოპასუხის მისამართი და კლიენტის მოთხოვნით კვლავ წარადგინა სარჩელი სასამართლოში, მაგრამ ნ. გ.-ს მხრიდან უკვე პრეტენზიები იქნა წარდგენილი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მისგან კლიენტი ითხოვდა საქმის მასალებისა და ფულის დაბრუნებას, რაზედაც ის დათანხმდა, მაგრამ მიუხედავად შეთანხმებისა, შეხვედრა ვერ შედგა კლიენტის მოუცლელობის გამო.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარემ კ. ბ.-მა 2010 წლის 23 სექტემბერს განხილვის კოლეგიაზე დაუჭირა მხარი საპროცესო კოლეგიის 2010 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებას საქმეზე №035/10 ადვოკატ, თ. გ.- ის მიმართ დისციპლინური დევნის

აღძვრის თაობაზე. დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეში ადვოკატ თ. გ.-ის მიერ, სავარაუდოდ, დარღვეული იქნა ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

განხილვის კოლეგიამ შეისწავლა საჩივარი, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ დასაბუთებულია საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინალური დევნის აღძვრის საფუძველი და საქმის არსებითი განხილვის შედეგად დადასტურებულად უნდა იქნეს მიჩნეული სსიპ- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის თ. გ.-ს მიერ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტი, კერძოდ:

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის სხდომა ჩატარდა 2010 წლის 23 სექტემბერს. მას დაესწრო საჩივრის ავტორი, ნ. გ., რომელიც სხდომაზე დაგვიანებით გამოცხადდა, ადვოკატი თ. გ. და დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარე კ. ბ..

4.2 საჩივრის ავტორმა მხარი დაუჭირა თავის საჩივარს და აღნიშნა, რომ ადვოკატისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა, რომლის დაბრუნებასაც ადვოკატი დაჰპირდა მომჩივანს ჯერ კიდევ საჩივრის საპროცესო კოლეგიაზე განხილვის ეტაპზე, ასევე, დოკუმენტების დაბრუნებას, მას დღემდე არ მიუღია.

4.3 ადვოკატმა თ. გ.-მ წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით განმარტა, რომ ეთანხმება მის მიერ საპროცესო კოლეგიისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებას და განხილვის კოლეგიის სხდომაზე კიდევ ერთხელ ახსნა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

4.4 ქალბატონ თ. გ.-ს განემარტა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-15 მუხლი.

4.5 ადვოკატმა კოლეგიას მოახსენა, რომ 2010 წელს, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა იმის შესახებ, რომ საჩივარი მის წინააღმდეგ ნ. გ.-ის მიერ წარდგენილ იქნა ეთიკის კომისიაში, სარჩელები გამოიხმო სასამართლოდან და დარწმუნებულია რომ საჩივრის ავტორს ხანდაზმულობის პრობლემა სასამართლოში არ დაუდგება. საბოლოოდ, ადვოკატმა თ. გ.-მ დააზუსტა, რომ მას სარჩელები არ გამოუხმია, ხოლო სარჩელები წარმოებაში არ იქნა მიღებული.

4.6 ადვოკატმა არადამაჯერებლად განმარტა კლიენტისაგან სახელმწიფო ბაჟის სახით გადაცემული თანხის დაუბრუნებლობა (იხ. საპროცესო კოლეგიისადმი თ. გ.-ის განმარტება, განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი № 8 – 23.09.2010)

4.7 განხილვის სხდომის თავმჯდომარემ საჩივრის ავტორს განუმარტა საჩივარზე უარის თქმის შედეგები და საჩივრის ავტორისაგან მიიღო და საქმეს დაურთო ხელწერილი, რომლითაც იგი ადასტურებდა ადვოკატისაგან თანხის და საბუთების გადაცემის ფაქტს.

4.8 ნ. გ.-ს უარი არ უთქვამს საჩივრის მოთხოვნაზე – ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე.

5. **განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო გარემოებები:**

5.1 თ. გ. არის სსიპ ადვოკატთა ასოციაციის წევრი 2006 წლიდან, ადვოკატის სიითი №....

5.2 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი.

5.3 ადვოკატმა განმარტა, რომ მის მიერ შედგენილი სარჩელები მას არ გამოუხმია საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ისინი წარმოებაში არ იქნა მიღებული.

5.4 ადვოკატმა 2010 წლის 23 სექტემბერს დაუბრუნა თანხა მომჩივანს.

5.5 ადვოკატმა 2010 წლის 24 სექტემბერს ეთიკის კომისიას დაუტოვა ნ. გ.-სთვის გადასაცემი საქმის მასალები.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის, ნ. გ.-ის 2010 წლის 03 ივნისის საჩივარი;
2. ადვოკატ თ. გ.-ის 2010 წლის 07 ივლისის ახსნა-განმარტება;
3. სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის, 2009 წლის 03 თებერვლის, 2010 წლის 12 აპრილის განჩინებები;
4. განხილვის დისციპლინური კოლეგიის სხდომის ოქმი № 8 – 23.09.2010. საქმეზე №035/10;
5. ნ. გ.-ს 23.09.2010. ხელწერილი;
6. მოხსენებითი ბარათი – 24.09.2010.

6. **შემაჯამებელი დასკვნა**

საქართველოს კანონით „ადვოკატთა შესახებ" 32-ე მუხლით ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება, ამავე კანონის მე-5 - მე-9 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობისას. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს დისციპლინური სახდელების სახეებს, ხოლო 35-ე მუხლით ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხი ეთიკის კოლეგიაზე განიხილება კოლეგიურად.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 მოცემულ შემთხვევაში საჩივარში მითითებული გარემოებები კლიენტსა და ადვოკატს შორის არსებული დავა, გარდა საჩივარში მოცემული გარემოებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებებისა, დასტურდება საჩივარზე თანდართული მტკიცებულებით, ხოლო მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, წარმოადგენს საქართველოს კანონით„ადვოკატთა შესახებ" 32-ე მუხლითა და ამავე კანონის მე-5 – მე-9 მუხლით ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

7.2 მომჩივნის და ადვოკატის მიერ 2010 წლის 23 სექტემბერს სსიპ „ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაზე" მიცემული ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატი აწარმოებდა მომჩივანის ორ საქმეს 2008 წლის დეკემბრიდან და ვერცერთ საქმეზე ვერ შეძლო კვალიფიციური მომსახურეობის გაწევა, რადგან არ იქნა აღმოფხვრილი სარჩელის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები, რის გამოც სარჩელი წარმოებაში დღემდე ვერ იქნა მიღებული, ასევე, ადვოკატის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი კლიენტის კვალიფიციური დაცვა. ადვოკატს არანაირი ზომა არ მიუღია საქმის სრულყოფილად წარმოებისა და სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის, მეტიც, ადვოკატმა წინააღმდეგობრივი განმარტება მისცა განხილვის კოლეგიას, როდესაც ერთ შემთხვევაში აღნიშნა, რომ მან სარჩელები გამოიხმო, ხოლო საქმის საჩივარზე თანდართული მტკიცებულებების გამოქვეყნების შემდეგ, განმარტა, რომ სარჩელები არ გამოუხმია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, ისინი სასმართლომ წარმოებაში არ მიიღო, რადგან ვერ იქნა უზრუნველყოფილი კანონით დადგენილი წესით სარჩელებში სასამართლოს განჩინებათა საფუძველზე დადგენილი ხარვეზების აღმოფხვრა;

7.3 უდავოდ არის დადგენილი, რომ ადვოკატისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადაცემული თანხა - 135 აშშ დოლარი ადვოკატს არ გადაუხდია ეს თანხა მომჩივანს ადვოკატმა დაუბრუნა საჩივრის განხილვის დღეს 2010 წლის 23 სექტემბერს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო განჩინებით მხარეს ბაჟის სახით განესაზღვრა 185 ლარის გადახდა. მართალია, ადვოკატს ჰქონდა მცდელობა შეემცირებინა სასამართლო ხარჯი კლიენტისათვის და ამის გამო არ გადაიხადა ბაჟი, მტკიცებულების სახით წარადგინა ნ. გ.-ს, როგორც სოციალურად დაუცველის მოწმობა, მაგრამ ხარვეზის განმეორებითი დადგენის შემდეგ, ადვოკატმა არ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად. კოლეგიის აზრით, ზემოაღნიშნული ქმედება წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების დარღვევას.

7.4 საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით (მუხლები - 2,5,6.) არ მიშნავს კლიენტის მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში; კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება,

რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის.

7.5 ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურეობაზე გაფორმებული ხელშეკრულება (მოცემულ შემთხვევაში ზეპირი), სანოტარო ფორმით გაცემული რწმუნებულება და საადვოკატო მომსახურეობისათვის - კონკრეტული დავალების შესრულებისათვის მიღებული ანაზღაურება, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა (მუხლები – 2,3,4,5,6) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი, მე-3, მე-5 მუხლების შესაბამისად, დაავალდებულებს ადვოკატს საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს მისდამი კლიენტის ნდობის, კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის პრინციპებით. განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის ქმედებებმა, მის მიერ კლიენტის არასრულყოფილმა ინფორმირებამ, ზოგჯერ კი კლიენტისათვის ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობამ, საქმეთა წარმოებამ, ადვოკატთან დასაკავშირებლად კლიენტის არაერთმა წარუმატებელმა მცდელობამ, გონივრულ ფარგლებში წარმოშვა მომჩივანის –ნ. გ.-ს ეჭვი ადვოკატისადმი ნდობის თვალსაზრისითაც.

7.6 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-11 პუნქტებით, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა. ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

7.7 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მიერ არ განხორციელებულა კვალიფიციური დაცვა, რითაც დაირღვა ადვოკატთა შესახებ კანონის მე-2 მუხლი, ასევე, მე-3 მუხლის ე) და თ) ქვეპუნქტები, მე-5 მუხლის ა) ბ) ე), მე-6 მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი, მე-3, მე-5 მუხლები.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ა)ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, მე-3, მე-6 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 1, მე-3, მე-5, მე-8 მუხლის მე-6, მე-7 და მე-11 პუნქტებით და მე-11 მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 1, მე-2, მე-3, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ა"

ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-11, მე-13, მე-18, მე-19, მე-10, 24-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დადასტურებულად იქნეს მიჩნეული ადვოკატის - თ. გ.-ს მიერ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტი;
2. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს თ. გ.-ს /სიითი №.../ სახდელის სახით დაედოს გაფრთხილება.
3. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
4. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 32, საქართველოს უზენაესი სასამართლო).

კოლეგიის თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

კოლეგიის წევრი: მარინა კვაჭაძე

კოლეგიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე